



გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვა

მედეა ფირცხალია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მედეა ფირცხალია, 30.06.2019

აბსტრაქტი

მოწმე სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სწორედ ამიტომ მოწმის დაკითხვა გამოძიების ეტაპზე, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. თითოეული სახელმწიფო სხვადასხვანაირად არეგულირებს მოწმის დაკითხვის საფუძვლებსა და წესს. გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვამ მნიშვნელოვანი ეტაპები გაიარა 1998 წლიდან დღემდე. დღეს მოქმედი ნორმები 2009 წელს იქნა მიღებული, თუმცა რამდენიმეჯერ გადავადების გამო 2016 წელს საბოლოოდ ამოქმედდა. მიუხედავად იმისა, რომ მოწმის დაკითხვის ინსტიტუტი თანდათან განვითარდა და დაიხვეწა, მაინც არსებობს როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული ხარვეზები, რომლებიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და კონსტიტუციით გათვალისწინებულ პრინციპებთან მოდის წინააღმდეგობაში. სწორედ ზემოთაღნიშნული პრობლემების იდენტიფიცირება წარმოადგენს კვლევის საგანს.

მიზანი-კვლევის მიზანია გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის, როგორც, მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელოვანი სამართლებრივი მექანიზმის გაანალიზება, აღნიშნულის საფუძველზე იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც გვხდება როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკაში და ამ პრობლემების გადაჭრის მეთოდების ჩამოყალიბება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

მეთოდოლოგია/მიდგომა-ამ საკითხში იგულისხმება კვლევის საკითხის ირგვლივ არსებული საკანონმდებლო ნორმების, სასამართლო გადაწყვეტილების, სამეცნიერო-აკადემიური წყაროების, სხვადასხვა იურისტების შეხედულებების, სტატისტიკისა და არსებული კვლევების მიმოხილვა, სიღრმისეული შესწავლა და მათი ანალიზი.

შედეგები-აღნიშნულ ნაშრომში კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული შედეგები მიუთითებს გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრის საშუალებებზე, ასევე იძლევა განმარტებას როდისაა შესაძლებელი გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვა და რამდენად კანონიერად წარიმართება ეს პროცესი.

სიახლე/ღირებულება-ნაშრომში გამოკვეთილია მოწმის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მონაწილის მნიშვნელობა, საგამოძიებო მოქმედებების გამოკითხვისა და დაკითხვის ურთიერთმიმართება, განხილულია თუ რა შემთხვევაში ირღვევა დაცვის მხარის უფლებები, რამდენადაა დაცული შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპები ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შორის და ხომ არ იმყოფება ბრალდების მხარე უპირატეს მდგომარეობაში დაცვის მხარესთან შედარებით. ნაშრომში აგრეთვე განხილულია აღნიშნული საკანონმდებლო ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოწმე, გამოკითხვა, გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვა, შეჯიბრებითობა, თანასწორობა.

Abstract

A witness plays an important role in the investigation of criminal cases, therefore the interrogation of a witness is an important institution both in Georgia and abroad. Each state regulates the grounds and rules for the interrogation of witnesses in a different manner. The interrogation of a witness at the investigation stage has passed significant stages since 1998. The current provisions were adopted in 2009, but due to several delays they were finally put into effect in 2016. Despite the fact that the institution of interrogation has gradually developed and improved, there are still legislative as well as practical shortcomings that contradict the principles enshrined by the Criminal Procedure Code and the Constitution. Identifying the abovementioned issues is the subject of research.

The purpose – The purpose of the study is to analyze a vital legal mechanism of execution of justice such as the issue of the witness testimony at the investigation stage. In addition the study aims to identify important problems that are common at the legislative level and in practice as well as to establish methods for solving these matters and to provide appropriate recommendations.

Methodology / Approach - This includes a review, in-depth study and analysis of current legislation, judicial decisions, scientific and academic sources, the views of various lawyers that are related to above mentioned issues.

Results - The results of the aforementioned study indicate ways to eliminate legislative and practical shortcomings related to the interrogation of witnesses at the investigation stage, as well as defines at what particular stage should the interrogation is take place and how lawful this process is.

News / Study underlines the significance of a witness, as one of the main participants of the criminal procedure, contrast of two investigative measures such as questioning and

interrogation. In addition study concerns the cases which could violate the rights of defense, apart from that addresses the following issues: How relevantly are the adversarial principle and the principle of equality of arms and whether the prosecution is in a stronger position compared to the defense. The paper also concerns the matter of constitutionality of these laws.

Search keywords: witness, questioning, interrogation of witnesses at the trial stage,., adversariality, equality of arms.